ლელო

603 N 6748

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

№ 1 (1483) ○ პარასკევი, 1 იანვარი 1960 წ. ○ გამოცემის მე-16 წელი. ○ ფასი 30 კაპ.

ხვავი, ბარაქა, ღიმილი და უღრ[illegible] მოაკლდეს [illegible]ბლო ზეცა [illegible]ს!.. ჩვენი [illegible]ობლოს მადლიან კალთე[illegible]

ახალი წელი!
1960 წელი!

ჩვენი სამშობლოს, საბჭოთა დიდი ქვეყნის ახალი წინსვლის, ძლევამოსილი მშენებლობის, ახალ-ახალი გამარჯვებების მორიგი წელი!..

კიდევ ერთი მადლიანი, მშვიდობისა და კაცობრიობის საკეთილდღეოდ წარმართული შემოქმედების შრომითი წელი განვლო ჩვენმა დიდმა ხალხმა, მთელს მსოფლიოში ყველაზე უფრო პროგრესული იდეების მატარებელმა, ყველა ხალხების სანუკვარი მომავლისა და სამართლიანი წყობილების — კომუნიზმის გამომჭედელმა საბჭოთა ხალხმა.

როგორც ყოველთვის, ყველა სფეროში, ყველა დარგში შესანიშნავი გამარჯვებების წელი იყო განვლილი წელიც. ეს იყო გაშლილი კომუნისტური მშენებლობის, შვიდწლედის პირველი წელი, რომელმაც ჯერარნახული პერსპექტივები გადაშალა ჩვენი ხალხების ძლევამოსილი მსვლელობის გზაზე. კიდევ უფრო მძლავრი გახდა ჩვენი ქვეყანა, კიდევ უფრო მძლავრი ტემპებით დაწინაურდა მრეწველობა, კიდევ უფრო მეტად აყვავდა ჩვენი სოფლის მეურნეობა, მკვეთრად ამაღლდა მშრომელების მატერიალური კეთილდღეობა.

განვლილი წელი — ეს იყო კოსმოსის სივრცეში საბჭოთა ადამიანის გენიის შეჭრის პირველი წელი!.. სწორედ ჩვენი დიდი ქვეყნიდან აიჭრა ზევით, მთვარისაკენ კოსმოსური ხომალდი, მის ზედაპირზე საბჭოთა ხალხის ერთიანობის, სწორუპოვარი გამარჯვებების გამომხატველი მკვეთრი სიმბოლო — ჩვენი ვიმპელი აიტანა, უძვირფასესი ცნობები მისცა კაცობრიობას, მეცნიერებას და ამით ამცნო, რომ 1959 წლიდან მათ ისტორიაში საბჭოთა ადამიანების მიერ გაკვალული ახალი ერა, ახალი ეპოქა იწყებოდა.

განვლილი წელი — ეს, ამავე დროს, ჩვენი ხალხების, მშობლიური კომუნისტური პარტიისა და მთავრობის კეთილშობილური, დაუცხრომელი, ჰუმანური მისწრაფების — მშვიდობისათვის ბრძოლის გზაზე მოპოვებული შესანიშნავი წარმატებების წელი იყო. საბჭოთა კავშირის სამშვიდობო ინიციატივა, ნ. ს. ხრუშჩოვის ისტორიული ვიზიტი ამერიკის შეერთებულ შტატებში, რამაც მსოფლიოს დაძაბულობის შენელება, „ცივი ომის" ყინულის ლხვობა, მშვიდობიანი არსებობის ნათელი იმედი მოუტანა — ყველაფერი ეს საუცხოო საახალწლო ნობათია კეთილშობილური, მშვიდობიანი მშენებლობით დაკავებული საბჭოთა ადამიანებისათვის.

ყოველივე ამასთან ერთად, განვლილი წელი იყო ჩვენი ფიზკულტურისა და სპორტის სფეროში დიდმნიშვნელოვან მოვლენათა პერიოდი, ჩვენი ქვეყნის სპორტსმენების და ფიზკულტურელთა ტრიუმფით და გამარჯვებებით აღსავსე წელი. იგი იყო პირველი წელი ფიზკულტურასა და სპორტზე ახლებური ხელმძღვანელობისა, რაც ამ სფეროზე პარტიისა და მთავრობის უდიდესი ზრუნვის გამოხატულებად იქცა და შესანიშნავი შედეგები მოგვიტანა როგორც მასობრიობის, ისევე ოსტატური დონის ამაღლების მხრივაც.

ასეთი იყო განვლილი წელი!..

და, კიდევ უფრო კარგი, უფრო მდიდარი, უფრო ბრწყინვალე გამარჯვებებით აღსავსე იყოს ეს ახალი, 1960 წელი!..

ახალმა წელმა შემოაღო წუხელ ჩვენი დიადი ქვეყნის, სამშობლოს კარი:

— მრავალ ახალ წელს გეტარებინოთ ძლევამოსილად საბჭოთა ქვეყნის დიდების დროშა!

— მრავალ ახალ წელს გემრავლებინოთ გამარჯვებები შრომის, კულტურის, მეცნიერების, სპორტის სფეროში!

მშვიდობისა და ბედნიერების ახალი წელიმც გასთენებოდეს ჩვენს საყვარელ, დიად ქვეყანას! ხვავი, ბარაქა, ღიმილი და უღრუბლო ზეცა არ მოაკლდეს ჩვენი სამშობლოს მადლიან კალთებს!..

ჩოგბურთი კალკუტაში

როგორც ცნობილია, კალკუტაში გამართულ აზიის ქვეყნების ჩოგბურთელთა ღია ჩემპიონატში მონაწილეობდნენ საბჭოთა კავშირის სპორტსმენები, კერძოდ, კი ტ. ლეიუსი, მ. მოზერი, თბილისელი ი. რიაზანოვა და სხვ.

[illegible] საბჭოთა [illegible] წყვილთა ჩოგბურთელები შერე[illegible] ლთა შეხვედრებში. ასე მაგ[illegible] თად, ტ. ლეიუსმა და ი. რიაზანოვამ ორ პარტიაში (6:3, 6:4) დაამარცხეს დ. აპაი (ინდოეთი) და ე. აგრონი (ურუგვაი). მეორე შერეულმა წყვილმა საბჭოთა კავშირიდან ა. დმიტრიევამ და მ. მოზერმა [illegible] განიცადეს ინდოელებთან (ლ. პაკაბი—კ. სანტუკი) მატჩში.

მაღალი ოსტატობა [illegible] ხს[illegible] ქიშეებში ნეს ტ. ლეიუსმა [illegible] ვამ ნახევარფინალში, სადაც მათ დაამარცხეს ამერიკელები ზ. მაკკეი და მ. არნოლდი — 6:2, 12:14, 6:3. ი. რიაზანოვა და ტ. ლეიუსი ფინალში გავიდნენ.

ი. რიაზანოვა



ო. ფირცხალავა

სამშობლოს, სიცოცხლის გული
ხართ მფეთქავი,
ახალ წელს გილოცავთ ყველას.
მე თქვენი სიმტკიცის სიმღერა
მწყურია
და გულიც სათუთად ღელავს.

მე თქვენი მეკვლე ვარ დიადი
ოცნების,
სპორტსმენთა გულების ფიქრი,
დღეს თქვენი ზეცაში ნასროლი
ისარი

გაბადრულ მთვარესთან მიჰქრის.
სიხარულს, სიყვარულს,
სამშობლოს უმღერეთ,
დალაშქრეთ მდუმარე მთები!
იმრავლეთ, იდიდეთ, ადიდეთ
ქვეყანა,
გაშალეთ არწივის ფრთები!

ჩვენი გაზეთის რედაქციამ მოაწყო საახალწლო კონკურსი — „ვინაა ყველაზე პოპულარული სპორტსმენი საქართველოში 1959 წელს“. კონკურსში მონაწილეობა მიიღო 400-ზე მეტმა მკითხველმა. წერილები მოდიოდა როგორც ჩვენი რესპუბლიკის ქალაქებიდან და რაიონებიდან, ისე საბჭოთა კავშირის სხვადასხვა კუთხიდან. კონკურსის მონაწილენი — უმთავრესად მოსწავლე და სტუდენტი ახალგაზრდობა, აგრეთვე მუშები, მოსამსახურეები და საბჭოთა არმიის მეომრები თავიანთ ხმებს აძლევდნენ ქართული სპორტის ღირსეულ წარმომადგენლებს, მათ ვინც გასულ სეზონში წარმატებით დაიცვეს რესპუბლიკისა და საბჭოთა სპორტის ღირსება.

კონკურსში დასახელებული კანდიდატების მიხედვით შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ გაზეთის მკითხველებმა ძირითადში სწორედ გაიგეს ჩვენი საახალწლო ანკეტების არსი. მრავალრიცხოვანი წერილების გაცნობის შემდეგ ნათელი გახდა, რომ ყველაზე პოპულარული სპორტსმენი 1959 წელს არის ქართული ფეხბურთის ვეტერანი, სპორტის დამსახურებული ოსტატი ავთანდილ ღოღობერიძე. რა თქმა უნდა, მკითხველი არ საჭიროებს კომენტარებს იმის გასარკვევად თუ რატომ სწორედ ა. ღოღობერიძე იქნა მიჩნეული საქართველოში ყველაზე პოპულარულ სპორტსმენად. ამ მაღალნიჭიერი ფეხბურთელის სახელი ფართოდაა ცნობილი როგორც საშინაო, ისე საერთაშორისო ასპარეზზე.



კონკურსში დასახელებულ კანდიდატთა შორის არიან პოპულარული ფეხბურთელები მ. მესხი, შ. იამანიძე, ზ. კალოევი, ს. კოტრიკაძე, ვ. ბარქაია, მძლეოსანი რ. შავლაყაძე, მსოფლიოს ჩემპიონი თავისუფალ ჭიდაობაში გ. სხირტლაძე, საბჭოთა კავშირის ნაკრების წევრი კალათბურთში გ. მინაშვილი, მოთხილამურე კ. წაქაძე, კალათბურთელი ლ. ინწკირველი, მოჭადრაკე ნ. გაფრინდაშვილი, წყალბურთელი გ. ჩიქვანაია, ჩოგბურთელი ი. რიაზანოვა, მძლეოსანი ლ. ტუღუში და სხვანი.

[illegible] აგეტანოთ, მრავალ ახალ წელს, მშობლიური მი-
შორის გ[illegible]ური შემართულობით, სიჩაუქითა და ვაჟ-
წის სახელი ჩვენ[illegible]
კაცობითა!...
[illegible] ჩვენი სამშობლოს
ახალ-ახალი გამარჯვებ[illegible]ით შეგემკოთ [illegible]
მკერდი!
თქვენთან მიგულეთ, ს[illegible]ყვარელო, სახელოვანო სპორტს[illegible]
[illegible]ნებო! მრავალ ახალ წელს!... მრავალჟამიერ!...



პოეტ-აკადემიკოს გ. ლეონიძეს, რომელსაც ამას წინათ საქართველოს სსრ სახალხო პოეტის სახელი მიენიჭა, დაბადებიდან 60 წელი შეუსრულდა. ეს თარიღი საზეიმო ვითარებაში აღნიშნეს საქართველოს მშრომელებმა.

ვზეიმობთ, გულით
! გილოცავთ,
ქართული სიტყვის
ფერიავ,
შენ სამოცი წლის
ჭაბუკო
ია და ვარდი გფენია.
ხოტბას უძღვნიდი
ლექსებით,
ვინც გამარჯვებით
გვატარა,
ჩვენს სპორტსმენებზე
იქნება,
დასწერო ლექსი პატარა.

გ. ანთაძე,
სპორტის დამსახურებული ოსტატი.

წოდებათა მინიჭება

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის პრეზიდიუმმა რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯის წოდება მიანიჭა მძლეოსნობაში ვ. ცაგარეიშვილს (თბილისი, „დინამო“), კალათბურთში — გ. მგალობლიშვილს (გორი, „ბურევესტნიკი“), და ა. ცხოვრებაძეს (გორი, „განთიადი“), მაგიდის ჩოგბურთში: ბ. კოვალიოვს, რ. გალუსტოვს, თ. ლოლაძეს (თბილისი, „განთიადი“), და ი. ყანდარიანს (თბილისი, „ლოკომოტივი“), სასტენდო სროლაში — გ. ნოდიას (სოხუმი, „მონკავშირი“), ფრენბურთში — ნ. ბეროშვილს (თბილისი, „სპარტაკი“).

1959 წელი დიდი გამარჯვებათა წელი იყო საბჭოთა სპორტის ისტორიაში და იგი სასახელოდ დაამთავრეს საქართველოს ფიზკულტურულმა ორგანიზაციამ, ჩვენმა მოწინავე სპორტსმენებმა. ამ წელს ერთი ორად გაიზარდა ჩვენი რესპუბლიკის გეოგრაფიული ჰორიზონტი მსოფლიოს სპორტულ წარმატებათა რუკაზე. 79 საერთაშორისო შეხვედრაში სცადეს საქართველოს სპორტულმა კოლექტივებმა თავიანთი ძალები და მხოლოდ თერთმეტჯერ დასტოვეს სარბიელი დამარცხებულებმა. გასული სპორტული სეზონი ყველაზე უფრო გადატვირთული იყო საერთაშორისო შეჯიბრებებით კალათბურთელებთან და ფეხბურთელებთან. კალათბურთელებს რესპუბლიკის სპორტული ღირსების დაცვა 38 საერთაშორისო შეხვედრაში მოუხდათ, ფეხბურთელებს კი 21-ში. შესამჩნევად გაფართოვდა მოჭიდავეთა, მოკრივეთა, წყალბურთელთა, ტანმოვარჯიშეთა და მაგიდის ჩოგბურთელთა საერთაშორისო ურთიერთობათა ქსელიც. წარმატებით გამოდიან აგრეთვე ჩვენი წამყვანი სპორტსმენები საბჭოთა კავშირის ნაკრებ გუნდებშიც.

კალათბურთელებმა პირველი საერთაშორისო მატჩი ჩაატარეს ჩინეთის სახალხო განმათავისუფლებელი არმიის ნაკრებ გუნდებთან. აი ამ შეხვედრათა შედეგებიც: ქალები პოლიტექნიკური ინსტიტუტი (თბილისი) — ჩინეთი — 57 : 51, ვაჟები — ჩინეთი — „ბურევესტნიკი“ (თბილისი) — 71 : 69, ქალები — „ბურევესტნიკი“ (თბილისი) — ჩინეთი — 71:51, ვაჟები — ჩინეთი — [illegible] „დინამო“ (თბილის[illegible] — 79 : 71, ქალ[illegible]ბი — საქართველო (ნაკრები) — ჩინეთი — 43 : 40, ვაჟები — საქართველო (ნაკრები) — ჩინეთი — 73 : 29; „დინამო“ (თბილისი) — „დინამო“ (ბუქარესტი“) — 74 : 51, თბილისი (ნაკრები) — „დინამო“ (ბუქარესტი) — 96:49, თბილისი (ნაკრები) — „დინამო“ (ბუქარესტი) — 69 : 52.

ივლისში საქართველოს ქალთა გუნდი გაემგზავრა რუმინეთში, სადაც მან ჩაატარა რამდენიმე მატჩი ბუქარესტში, ტირგუმერეშში, სტალინში და არადიაში. ოთხივე მატჩი ჩვენმა სპორტსმენებმა თავიანთ სასარგებლოდ დაამთავრეს. არადიას ნაკრებს მათ მოუგეს — 53 : 45, ტირგუმერეშის ნაკრებს — 60:40, ქალაქ სტალინის ნაკრებს — — 64 : 46 და რუმინეთ[illegible] ნაკრებს — 42 :41. ერთი თვით[illegible]რე საქართველოს ვაჟთა გუ[illegible] იმყოფებოდა უნგრეთში ამხანა[illegible]რი შეხვედრების ჩასატარებლ[illegible] ჩვენმა სპორტსმენებმა ბრწყინ[illegible]ლედ ჩაატარეს ეს ტურნე და [illegible] შეხვედრაში დაამარცხეს მასპი[illegible]ლები. ბუდაპეშტის „ჩეპელს“ ჩ[illegible]ნმა სპორტსმენებმა მოუგეს [illegible] 82:62, ქალაქ კეჩკემეტის [illegible]რებს — 98:45 და ევროპის [illegible]ლიერეს გუნდს უნგრეთის ნ[illegible]რებს — 82 : 78. დაახლოვებ[illegible] ამავე პერიოდში თბილისს ესტ[illegible]რა საფრანგეთის ქალთა გუნდი [illegible] ქალაქ ოტონის „ვაიანტი“. ფ[illegible]გები დამარცხდნენ „ბურევესტ[illegible]თან“ — 39 : 71 და უნივერსი[illegible]ტის გუნდთან შეხვედრაში [illegible] 20 : 42.

სექტემბრის პირველ რიცხვე[illegible] ჩეხოსლოვაკიას ესტუმრა თბი[illegible]სის „დინამოს“ ვაჟთა და „ბუ[illegible]ვესტნიკის“ ქალთა გუნდები. ჩ[illegible]ნმა ვაჟთა კოლექტივმა ბრწყი[illegible]ლედ ჩაატარა ტურნირი და მო[illegible] შემდეგი შეხვედრები: „დინა[illegible] (თბილისი) — „სლოვან ორბი[illegible] (პრაღა) — 81 : 73, „დინა[illegible] (თბილისი) — კრნოვი (ნაკრები[illegible] 85 : 48, „დინამო“ (თბილისი) [illegible] „სლავია“ (ბრატისლავა) — 78[illegible] „დინამო“ (თბილისი) — „სპარ[illegible]კი“ (ბრნო) — 73 : 69, „დინა[illegible] (თბილისი) — „სლოვან ორ[illegible]სი“ (პრაღა) — 96 : 85, „დინა[illegible] (თბილისი) — „სპარტაკ-სოკ[illegible]ვო“ (პრაღა) — 101:71, „დი[illegible] [illegible] — 82:44, „დინამო“ [illegible]ლისი) — როშიცეს ნაკრებ[illegible] 71 : 56, „დინამო“ (თბილის[illegible] „სპარტაკი“ (ბრნო) — 8[illegible] „დინამო“ (თბილისი)—სვიტ[illegible]შიცე) — 73:64, „დინამო“ [illegible]ლისი) — კოშიცე (ნაკრებ[illegible] 63 : 55.

ვაჟებთან შედარებით წა[illegible]ტებლად გამოვიდა ამ ტუ[illegible] ჩვენი რესპუბლიკის ქალთა [illegible] მისი თამაშების ტექნ[illegible]ბი — „სპარტაკ-სოკ[illegible]ვო“ (პრაღა) — „ბურევეს[illegible] (თბილისი)—65:64, „სლოვან-[illegible]სი“ (პრაღა) — „ბურევეს[illegible] (თბილისი) — 60 : 60, ჩეხო[illegible]ვაკია (ნაკრები) — „ბურევე[illegible]კი“ (თბილისი) — 87:47 [illegible] სლოვაკია (ნაკრები) — „ბ[illegible]სტნიკი“ (თბილისი) — [illegible] „ბურევესტნიკი“ (თბილ[illegible] „ისკრა“ (პროსტეევი) — [illegible] „ბურევესტნიკი“ (თბილის[illegible] ჟილინო (ნაკრები) — [illegible] „ბურევესტნიკი“ (თბილისი) [illegible]

[illegible] — 61 : 32, „ბუ[illegible]ილისი) „სლავია“ [illegible] 70 : 33, „ბურევეს[illegible]ი) — „ლოკომო[illegible] — 74 : 42.

[illegible] ფეხბურთელებმა [illegible] 21 საერთაშორისო [illegible] რომელთა შორის [illegible]ს 3 და 5 ფრედ [illegible] ეს შეხვედრებიც: [illegible] (თბილისი) — [illegible] (შვეცია) — 1:1, [illegible]თაისი) — „სუნ[illegible]ა)—3:2, სკვო (თპი[illegible]ვალი“ (შვეცია) — [illegible]“ (თბილისი) —„ლა [illegible] (ბელგია) — 2 : 1, [illegible]ლისი) — „რეიმსი“ [illegible] — 5 : 2, „ლოკო[illegible]ლისი) — „ალიან[illegible] — 1 : 0, „ჰოლოდა[illegible]ი) — „დინამო“ [illegible] — 3 : 1, „ტორპედო“ [illegible] „ალიანსენი“ (და[illegible] „დინამო“ (თბილი[illegible]ში“ (თურქეთი)— [illegible]“ (თბილისი) — [illegible]ლგარეთი) — 1 : 0, [illegible]“ (თბილისი)—„ალე[illegible] — 4 : 0, „დინამო“ [illegible] „დინამო“ (პრაღა)— [illegible]“ (თბილისი)—„სპარ[illegible]ი) — 1 : 1, „დინა[illegible]სი) — გოტვალდო[illegible] — 2:1, „ტორპე[illegible]ი) — კუოპოს ნაკრე[illegible] — 3:0, „დინამო“ [illegible] „ლა განტუაზი“ [illegible]:3, „სტანდარტი“ [illegible]სტონეთი, ყირგიზ[illegible]თი, ლიტვა — [illegible] (თბილისი) [illegible]ი) — 6 : 2, „რეიმ[illegible]ი)—„დინამო“ (თბი[illegible] : 0, „დინამო“ (თბი[illegible] (საფრანგეთი) —

[illegible]გი საერთაშორისო შე[illegible]თ ჩატარებული კლა[illegible] თავისუფალი სტილით [illegible] განსაკუთრებულ წა[illegible]ალწიეს უკანასკნე[illegible]ლებმაც დაამარცხეს [illegible] უძლიერესი ამერიკე[illegible]ელი მოჭიდავეები. [illegible]ლისში სტუმრად იყო [illegible]ერთებული შტატების [illegible] მან წააგო შეხვე[illegible]ლოს ნაკრებთან ან[illegible] : 6. ოთხი შეხვედრა [illegible]ლ და ქართველ მო[illegible]ბილისში უნგრეთის [illegible] ნაკრებმა ფრედ დაამ[illegible] ბრძოლა საქართველ[illegible] ნაკრებთან და დამარცხდა პირველ ნაკრებთან — 2:6, რამდენიმე ხნის შემდეგ ქართველი მოჭიდავეები საპასუხო ვიზიტით გაემგზავრნენ უნგრეთში. აქ ჩვენმა ფალავნებმა მოიგეს ორივე ბრძოლა დამაჯერებელი ანგარიშით 6:2 და 7:1.

რესპუბლიკის ნაკრებმა გუნდმა კლასიკურ ჭიდაობაში დაამარცხა რუმინეთის ნაკრები ანგარიშით 4,5:3,5 საქართველოს „განთიადის“ ნაკრები სექტემბერში სტუმრად ეწვია პოლონეთს, სადაც გამართა სამი შეხვედრა ოლშტინის, პოზნანისა და ახალი ბიტომის გუნდებთან. სამივე მატჩი დიდი უპირატესობით ქართველმა მოჭიდავეებმა მოიგეს.

7 საერთაშორისო მატჩი აქვთ თავიანთ ბალანსში რესპუბლიკის წყალბურთელებს. ივნისში გაიმართა სამი შეხვედრა თბილისის უძლიერეს გუნდებსა და მაგდებურგის (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა) სპორტსმენებს შორის. ამ შეხვედრათა შედეგები ასეთია: „დინამო“ (თბილისი) — მაგდებურგი (გდრ) — 5 : 1, მაგდებურგი (გდრ)—„ბურევესტნიკი“ (თბილისი) — 4 : 3, თბილისი (ნაკრები) — მაგდებურგი (გდრ)— 4 : 2. შემდეგ, ჩვენს დედაქალაქში სტუმრად იყვნენ რუმინელი წყალბურთელები. რუმინეთის ნაკრებმა მოიგო მატჩი საქართველოს II ნაკრებთან — 4:2, მაგრამ იგივე ანგარიშით დამარცხდა პირველ ნაკრებთან შეხვედრაში. დაბოლოს ჩვენი წყალბურთელები საპასუხო ვიზიტით გაემგზავრნენ რუმინეთში. პირველი მატჩი თბილისის „დინამომ“ რუმინეთის ნაკრებთან წააგო 3 : 9, ხოლო მეორე მატჩი ახალგაზრდ[illegible] ფრედ დაამთავრა — 4 : 4.

მაისში საქართველოს ტანმოვარჯიშეთა ნაკრები გუნდი სტუმრად იყო ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში, სადაც მან ჩაატარა ორი ამხანაგური შეხვედრა და ორი საჩვენებელი გამოსვლა. ამხანაგური მატჩები ჩვენმა ტანმოვარჯიშეებმა მოიგეს, როგორც შ. ნ. ჰაიში, ისე პეკინში. გასულ წელს ერთი ამხანაგური მატჩი ჰქონდათ საქართველოს „სპარტაკისა“ და შვეციის მოკრივეებს. გამარჯვება ანგარიშით 8 : 1 ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებმა მოიპოვეს. საქართველოს მაგიდის ჩოგბურთელებმა ჩაატარეს პირველი საერთაშორისო შეხვედრა ბულგარეთის წარმომადგენლებთან. ქალთა შეხვედრებში გაიმარჯვეს თბილისელებმა — 5 : 0, ხოლო ვაჟებში ბულგარელებმა — 7:2.

ეს რუკა ასახავს საქართველოს გუნდებისა და ცალკეულ სპორტსმენთა გამოსვლებს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში საერთაშორისო შეჯიბრებებსა და ჩემპიონატებში.

ეს სამი წიგნი — „ნარკვევები საქართველოს ფიზიკური კულტურის ისტორიიდან“, „კავკასიონზე“ და „ოლიმპიურ სარბიელზე“ — გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოს“ საახალწლო საჩუქარია რესპუბლიკის ფიზკულტურელებისა და სპორტსმენებისადმი.

ეს იყო გუშინ. გვიან ღამით.

ვინ იცის, საიდან შემოვიდა თბილისში ახალი წელი. ამბობენ, დიღმის მხრიდანო. ალბათ, ამიტომ იყო, რომ მან პირველად „დინამოს“ საწვრთნელ ბაზაზე შეიარა, სადაც თბილისის დინამოელი ფეხბურთელები ვარჯიშობდნენ მთელი სეზონის განმავლობაში და სჭედდნენ თავიანთ დიდ და სახახელო გამარჯვებას.

1959 წელი ქართული ფეხბურთის აღორძინების ხანა იყო და [illegible] სიამოვნებით მიიღო ახალ[illegible] ეს სახე[illegible]ლიშვილო ესტაფეტა. იგი დარწმუნებულია, რომ დინამოელთა მიღწევები მომავალში კიდევ უფრო გაიზრდება, განმტკიცდება და მეტ სიხარულს მოუტანს მის უამრავ ქომაგებს.

გამოუარა ახალმა წელმა ჩვენს კალათბურთელებსაც და დიდად კმაყოფილი დარჩა მათი თამაშით, მათი შედეგებით. მართლაც, ჩვენი გუნდი კარგა ხანია გასცდა პატარა, „უმნიშვნელო“ მასშტაბებს და ფართო ასპარეზზე გაიდგა ფეხი. მას უკვე კარგად იცნობენ უცხოეთში, პატივს სცემენ მის სპორტულ ძალას. ტყუილად როდი გავიდნენ ქართველი კალათბურთელები ევროპის ჩემპიონთა თასის გათამაშებაში. ეს გათამაშება 1960 წლის კომპეტენციაში შედის და, იმედია, იგი კეთილ გზას მისცემს ჩვენს გუნდს ამ დიდ შეჯიბრებაში.

ოლიმპიურმა წელმა ინახულა ჩვენი მოჭიდავეები, წყალბურთელები, ტანმოვარჯიშეები, მოტოციკლისტები, მოცურავეები, წყალში მხტომელები, ხუთჭიდელები, ჩოგბურთელები, მოფარიკავეები, მოჭადრაკეები, ალპინისტები და სხვანი, გადახედა მათს მიღწევებს სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადასა თუ სხვა დიდ შეჯიბრებებზე, შეაქო ისინიც, მოუწონა წარმატებები.

მაგრამ, ეტყობა, ახალი წელი მეტად მკაცრი და მომთხოვნი ყოფილა და მას წარსულის მიღწევები ისე არ აინტერესებდა, როგორც მომავლის პერსპექტივები და ის ნაკლოვანებანი, რომელთა გამოსწორება აუცილებელია სწორედ მისდამი რწმუნებული დროის მონაკვეთის მანძილზე.

ეს მიზანი ამოქრავებდა ოლიმპიურ წელს, როცა იგი საცხენოსნო სკოლას მიადგა საბურთალოში. ჯერ კიდევ სანამ თავლაში შევიდოდა მას გაახსენდა, რომ საქართველოს ცხენოსნები განვლილ საკავშირო სპარტაკიადაზე მეათე ადგილზე გამოვიდნენ. ამ გახსენებამ უგუნებობა მოჰგვარა ახალ წელს, ხოლო შემდეგ კი, როცა თავლების წინ მდებარე გაუვალ ტალახს წააწყდა, ჩამტვრეულ შუშებსა და სიცივისაგან აძიგძიგებულ ცხენებს მოჰკრა თვალი, საბოლოოდ წაუხდა ხასიათი. ვიღაცამ წასჩურჩულა — დადგენილება გამოტანილია თავლების წესრიგში მოყვანის თაობაზეო. მაგრამ, ეტყობა, ეს დადგენილება მაინცდამაინც ვერ ათბობდა საცოდავ ცხენებს.

საბურთალოდან წამოსულმა ახალმა წელმა იფიქრა: მოდი, ერთი, კრივის დარბაზში შევიხედავ, ვნახავ როგორ ვარჯიშობენ მოკრივეები, რას აკეთებენ თავიანთი ოსტატობის ასამაღლებლადო. ჯერ კიდევ დარბაზამდე მისული არ იყო, როცა რაღაც საეჭვო ხმაურისა და ძიძგილის ხმა შემოესმა. შეაღო კარი თუ არა, მაშინვე თვალში მოხვდა სპორტული ე. წ. კლასიკური კრივი კი არა, არამედ ნამდვილი ქუჩური ჩხუბი, დაუფარავი მუშტი-კრივი. თანაც მოკრივეებთან ერთად ჩხუბში ჩარეულიყვნენ მათი მწვრთნელებიც.

— აჰა, — ჩაილაპარაკა ახალმა წელმა, — აი, რატომ გამოსულა ჩვენი მოკრივეთა გუნდი სპარტაკიადაზე მეშვიდე ადგილზე. გასაგებია!

ჩვენმა მეკვლემ გზა საცურაო აუზისაკენ განაგრძო.

— წყალი, — გაისმოდა გაბმული მუდარა, — წყა-ალი, წყა-ა-ლი-ი!

ეს საწყლოსნო სპორტის სახეობათა წარმომადგენლები გაჰკიოდნენ. უწყლობით იხრჩობოდნენ სწორედ ისინი, ვისაც წყალი თავზე უნდა გადასდიოდეს — მოცურავეები, წყალბურთელები, წყალში მხტომლები. საცოდავებს ერთადერთი პატარა ზამთრის აუზი ჰქონდათ, რომელიც არავის ჰყოფნიდა, მით უმეტეს, წყალში მხტომელებს, რომლებიც გულხელდაკრეფილი შურით შესცქეროდნენ იმ იღბლიანებს, რომლებსაც, როგორც იქნა, მოუწია წყალში ჩაყვინთვამ. გულმოსაკლავი სურათი იყო!

მძლეოსნებმა ახალი წლის შესახვედრად თავიანთი მეთაური რ. შავლაყაძე გამოიყვანეს — იქნებ მის ზურგს უკან ჩვენც ამოვეფაროთო, მაგრამ ტყუილს მოკლე ფეხები აქვს, ხოლო მძლეოსნობაში მოკლე ფეხებით შორს ვერ გაიქცევი. რაც არ უნდა მაღლა იხტუნოს [illegible]ობერტ შავლაყაძემ, იგი ვერ [illegible], ამხანაგების ჩააზიდავს თავ[illegible] მორჩენას.

ოლიმპიურ წელს ფრენბურთელების ნახვაც უნდოდა, მაგრამ ვერ შეძლო მათი დაჭერა. ჩვენი ფრენბურთელები მართლაც ძნელი დასაჭერები არიან, ვინაიდან ისინი განუწყვეტლივ მგზავრობაში იმყოფებიან... „ა“ კლასიდან „ბ“ კლასში. დაუდგრომელი ხალხია, არაფრით არ უჩერდებათ გული „ა“ კლასში.

ფეხბედნიერმა მეკვლემ ჩვენი მოჭადრაკე ქალებიც ინახულა. იგი აშკარად უკმაყოფილო იყო მათი შედეგებით ახლახან დამთავრებულ საკავშირო ჩემპიონატში. ან როგორ იქნებოდა კმაყოფილი, როცა ჩვენი ნაქები გაფრინდაშვილი, ტოგონიძე და კაკაბაძე ასე ცუდად თამაშობდნენ უძლიერესთა ტურნირში.

— გამარჯვება, მხოლოდ გამარჯვება. ეს იქნება თქვენი საუკეთესო მზითევი! — უსურვა ახალმა წელმა მოჭადრაკე გოგონებს.

კიდევ დიდხანს, დიდხანს დადიოდა ახალი წელი დედაქალაქის ქუჩებში, ამხნევებდა გამოჩენილთ, ტუქსავდა ჩამორჩენილთ.

ძირითადად კი კმაყოფილი იყო ჩვენი მეკვლე. განა ურიგო ნობათი ჩაიბარა მან თავისი მოსვლის დღეს? საქართველოს სპორტული დელეგაციის მიერ დაკავებული მეხუთე ადგილი ხალხთა სპარტაკიადაზე, შესანიშნავი მიღწევები ცალკეულ სახეობებში, დიდი წარმატებანი საერთაშორისო ასპარეზზე. ნიჭიერი, პერსპექტიული ახალგაზრდობა! ყველაფერი ეს საიმედო საწინდარია იმისა, რომ საქართველოს სპორტსმენები 1960 წელსაც მოწინავეთა შორის იქნებიან საბჭოთა სპორტის ერთიან, ძმურ ოჯახში.

ი. არევაძე

ფეხბურთი

დამთავრდა ინგლისის საფეხბურთო ჩემპიონატის პირველი ნახევარი. მრავალი წლის წარუმატებლობის შემდეგ სტარტზევე ჩინებულ შედეგებს მიაღწიეს ლონდონის კლუბებმა, რომლებიც უკანასკნელ წლებში სატურნირო ცხრილში შუა ადგილებს ვერ სცილდებოდნენ. მართალია, „არსენალი" და „ჩელსი", ჩამორჩნენ ლიდერებს, მაგრამ ძლიერი თამაში უჩვენეს „ტოტენჰემ ჰოტსპურმა" და „ვესტ ჰემ იუნაიტედმა".

პირველ წრეში გამარჯვებული „პრესტონი" (ტომ ფინეის კლუბი) სტაბილურ შედეგებს აღწევს უკანასკნელი წლების ჩემპიონატებში. ის ფაქტი, რომ ლიდერსა და მე-14 ადგილზე მყოფ „ჩელსის" შორის განსხვავება სულ 10 ქულას შეადგენს, მეტყველებს გუნდების თანაბარ ძალაზე. ამჟამად ინგლისში არ არიან ე. წ. ექსტრა-კლასის გუნდები (როგორც სხვადასხვა დროს იყვნენ „მანჩესტერ იუნაიტედი" და „ვულვერჰემპტონ უონდერერსი"), რომლებიც იოლად იგებდნენ მატჩებს. შედარებით მცირე განსხვავებაა პირველი და მეორე ლიგის გუნდებს შორისაც (მიმდინარე ჩემპიონატში მეორე ლიგაში გამარჯვებულ „ვესტჰემ იუნაიტედსა" და „ფულჰემს" უკავიათ IV-V ადგილები). მეორე ადგილზეა „ტოტენჰემი", ხოლო გასული წლის ჩემპიონი „ვულვერჰემპტონ უონდერერსი" — მესამეზე.

მხოლოდ მეცხრე ადგილზეა ცნობილი კლუბი „მანჩესტერ იუნაიტედი" მისმა მწვრთნელმა მ. ბასბიმ, რომელიც ინგლისში ერთ-ერთ უთვალსაჩინოეს სპეციალისტად ითვლება, უკანასკნელ ხანებში წამოსწია მრავალი ახალგაზრდა ფეხბურთელი, რომლებმაც მთლიანად შეცვალეს სხვა კლუბებიდან ნაყიდი ვეტერანები. გუნდის სუსტ ადგილად უკანასკნელ ორი სეზონის მანძილზე რჩება დაცვა, მიუხედავად იმისა, რომ აქ თამაშობს მსოფლიოს უძლიერეს მეკარე ჰ. გრეგი.

წარუმატებლად თამაშობენ ცნობილი გუნდები „ბოლტონ უონდერერსი" და „ვესტ-ბრომვიჩ ალბიონი". ეს უკანასკნელი ყოველთვის გამოირჩეოდა თავისი თავდასხმის შედეგიანობით. ამჯერად „ალბიონი" სერიოზულ კრიზისს განიცდის.

გამოიცანო!

მატარებელი მოსკოვისაკენ მიჰქროდა. ვაგონის კუპეში საბჭოთა ოფიცრების მეზობლად მგზავრობდნენ ჩვენი მოჭადრაკეები მანანა ტოგონიძე და ნონა გაფრინდაშვილი.

ოფიცრები დაინტერესდნენ ვინ იყვნენ ქალიშვილები.

— ჩვენ სპორტსმენები ვართ, — მიუგო ნონა გაფრინდაშვილმა.—მაგრამ გამოიცანით, რომელ სახეობაში?

ერთმა ოფიცერმა აათვალიერა ტანადი მანანა ტოგონიძე და თქვა:

— თქვენ ბადროს მტყორცნელი იქნებით.

ყველამ გაიცინა.

— თქვენ კი, — მიმართა მან გაფრინდაშვილს, — იქნებით ნატყორცნი ბადროს მომტანი და ალბათ იმიტომაც მგზავრობთ ერთად.

პირველი პენალტი ალებულია.
ფოტოეტიუდი გ. მაკარიძისა.

თასი ბაკურიანში დარჩა

მზე უხვად აფრქვევდა ცხოველმყოფელ სხივებს და თანდათან ათხელებდა თოვლის იმ სქელ საბურველს, რომელშიც გახვეული-ყო ბაკურიანი. დილიდან საღამომდე გრძელდებოდა სითბოსა და სიცივის ჭიდილი. ასე იყო რესპუბლიკაში ზამთრის სათხილამურო სეზონის გახსნისადმი მიძღვნილი შეჯიბრების წინა დღესაც, როცა მესამედ უნდა შებმოდნენ ერთმანეთს ძირეული კოლექტივების გუნდები ჩვენი გაზეთის მიერ დაწესებული თასისათვის ბრძოლაში.

მისი ორგზის მფლობელი, საქართველოს სახელმწიფო ფიზკულტურის ინსტიტუტის კოლექტივი არც ახლა აპირებდა ბრძოლებით მოპოვებული ნადავლის დათმობას, თუმცა არც გამარჯვების სხვა პრეტენდენტებს (ბაკურიანის კოლმეურნეობისა და სკოლის კოლექტივებს) სურდათ კვლავ დამარცხებულებს დაეტოვებინათ სლალომის ტრასა და სარბენი ბილიკები. პირველად გამოიყვანეს გუნდები სტალინირის ზოოვეტერინარული ტექნიკუმის, ჯავის საშუალო სკოლისა და ქვაისის მოთხილამურეებმაც, თუმცა ამ უკანასკნელებმა ინვენტარის უქონლობის გამო ვერ შეძლეს სლალომისტთა შეჯიბრებაში მონაწილეობის მიღება, სამაგიეროდ, რბენებში სცადეს ბედი.

სლალომისტთა შეჯიბრება ბაკურიანის პარკის ახალ ტრასაზე ჩატარდა, რომლის გახსნა ქალებს ხვდათ წილად. გამარჯვების ძირითადი პრეტენდენტები ამ დაბის მკვიდრნი იყვნენ. ცხადია, ტრასა მათთვის ახალ ხილს არ წარმოადგენდა.

როცა მონაწილეებმა დაამთავრეს პირველი ცდა, ბაკურიანის საშუალო სკოლის I გუნდელს, საქართველოს გასული წლის ჩემპიონს ლ. გოგოლაძეს ყველაზე უკეთეს დროში 33,0 წამში გაევლო დისტანცია, 4,8 წამით აგებდა მასთან ბაკურიანის კოლმეურნეობის გუნდის წარმომადგენელი ქ. ბანდური. ლ. გოგოლაძის ეს უპირატესობა ჯერ კიდევ არ ნიშნავდა გამარჯვებას, რადგან წინ იყო მეორე ცდა და შეიძლებოდა საკმაო კორექტივი შეეტანა ლიდერთა მდგომარეობაში.

დაიწყო მეორე ცდა. ქ. ბანდურმა 1,7 წამით გააუმჯობესა თავისი პირველი ცდის შედეგი, სამაგიეროდ ლ. გოგოლაძემ 0,2 წამით უარესი შედეგი აჩვენა, ვიდრე პირველ ცდაში, მაგრამ ესეც საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ იგი გამხდარიყო პირველი ადგილის მფლობელი. ნ. ქურდოღლიანი პირადი მეხუთე ადგილით დაკმაყოფილდა, რითაც მესამე ადგილი მოუტანა ინსტიტუტის კოლექტივს, რადგან მესამე პრიზიორი ქ. ჯეირანაშვილი (ბაკურიანის კოლმეურნეობა) დებულების თანახმად ჩათვლაში ვერ შევიდა (ყოველი გუნდიდან ჩათვლაში შედიოდა საუკეთესო შედეგი). ქურდოღლიანს აჯობა პირად შეჯიბრებაში მონაწილემ ნ. ფურცელაძემაც.

სამაგიეროდ, ფიზკულტურის ინსტიტუტის I გუნდის წევრის ო. ხვედელიძის უპირატესობით წარიმართა ვაჟთა შეჯიბრება და უკვე მეორე ცდის წინ იგი 1,1 წამით [...]ორე ცდაზე ამ უკანასკნელ[...] მელიც პირველად იღებდა [...] აჩვენა დღის საუკეთესო შ[...] 36,8 წამი. ო. ხვედელიძემ [...] ნია რა გამარჯვების აშკარ[...] ტენდენტი, იჩქარა, გამოტოვ[...] ნასკნელი კარი, რისთვისაც [...] ნად დაზარალდა, რომ არა [...] წაავო ჯანგობეგოვთან, არამ[...] გაუშვა ბაკურიანის საშუალ[...] ლის პირველი გუნდის წ[...] კოზანაშვილი, (რომელიც [...] ლაში მწვრთნელად მუშაობ[...] შემდეგ პირად პირველობაშ[...] ნაწილე ა. დადვანიც.

ამრიგად, შეჯიბრების პ[...] დღის შემდეგ ბაკურიანის კ[...] რნეობისა და სკოლის I გ[...] 3-3 საჯარიმო ქულა ჰქონდა [...] სის მფლობელებს, მაგრამ პრიზის [...] ბრძოლის ბედი [...] ველთვის რბენების შემდეგ [...] ბოდა ინსტიტუტელთა სას[...] ლოდ, რადგან ისინი გუნდს [...] ხეობაში გაცილებით უკ[...] აკომპლექტებდნენ ხოლმე. [...] ქრობდნენ ახლაც.

საინტერესო ბრძოლა გა[...] ვაჟთა შორის 15 კილომ[...] რბენაში, მაგრამ 25 მონაწ[...] ყველაზე უკეთესი მაინც [...] ქვეყნის საუკეთესო მოხტ[...] კ. წაქაძის ძმა ჯ. წაქაძე ([...] ტუტის II გუნდი) აღმოჩნდა [...] მელმაც დისტანციის 1:01.19 მოანდომა, ხოლო [...] სტიტუტის სტუდენტი შ. [...] ძე, რომელიც პირად პირ[...] ზე გამოდიოდა, ფინიშთ[...] იყო. ინსტიტუტი[...] რი ე. ბირიუკოვი [...] დაკმაყოფილდა. [...]თასის ბედი სა[...] ვიტა ქალთა შეჯიბრება[...] რბენაში, გარდა იმისა, რომ [...] ვამ (ბაკურიანის კოლმეურ[...] გამარჯვება მოუტანა თავის [...] აჩვენა სეზონის დასაწყისი[...] საკმაოდ მაღალი შედეგი — [...] რაც საგრძნობლად აღემატ[...] რველი თანრიგის შედეგსა [...] წამით ჩამორჩება ოსტატის [...] ტივს. ფინიშთან მეორე იყ[...] თუმელი ვ. იურკინა.

ამით დამთავრდა ჩვენი [...] თის პრიზის მესამე გათამაშ[...] ძველი წლის უკანასკნელი [...] რება. თასმა მისამართი შ[...] ამჯერად გამოსაზამთრებლა[...] კურიანის კოლმეურნე ფი[...] ტურელებთან დარჩა, როგორ[...] თი სიძლიერისა და მომავალ[...] მატებათა სიმბოლო. ქების [...] ბაკურიანის საშუალო ს[...] პირველი გუნდიც, რომელმა[...] მარტო ღირსეული წინააღმ[...] გაუწია კოლმეურნეობისა [...] ტიტუტის სპორტსმენებს, [...] ამ უკანასკნელთან მეორე-[...] ადგილები გაიყო, რითაც [...] ზული განაცხადი შეიტანა [...] თვის მომავალ ბრძოლებში.

ო. გელაშვ[...]
ჩვენი სპეც. კორესპონდ[...]

* * *

სურათზე: სლალომისტთა [...]ბრებაში გამარჯვებულნი [...]დან — ი. ჯანგობეგოვი, ა. [...]ნი და ს. კოზანაშვილი.

თბილისის პირველობა

თბილისის 1960 წლის საჭადრაკო პირველობა დიდ ინტერესს იწვევს. ჩემპიონის სახელისათვის იბრძვის 18 ახალგაზრდა, მზარდი მოჭადრაკე, რომელთა შორის არიან ოსტატობის კანდიდატები თბილისის 1959 წლის ჩემპიონი ა. ბლაგიძე, გ. გამრეკელი, გ. კალატოზიშვილი, გ. მაჭავარიანი, თ. კიკიანი, ე. გერსამია და დ. ჯანოევი.

განვლილ სამ ტურში საინტერესო იყო თხელიძე-მიქაელიანის, ჯანოევ-კლიაცკინის შეხვედრები, რომლებიც დამთავრდა თხელიძისა და ჯანოევის გამარჯვებით.

არ შეიძლება არ აღვნიშნოთ, რომ ტურნირის სტარტზევე არასპორტულად მოიქცნენ მაჭავარიანი და კიკიანი. მათი პარტია საინტერესო უნდა ყოფილიყო, ვინაიდან ორივე ახალგაზრდა და პერსპექტიული მოჭადრაკეა, მაგრამ მაჭავარიანმა და კიკიანმა თავი აარიდეს ნამდვილ ბრძოლას და უკვე მე-15 სვლაზე, თამაშის დაწყებიდან სულ რაღაც ნახევარი საათის გასვლის შემდეგ, შეთანხმდნენ ყაიმზე. მსაჯთა კოლეგიამ იმსჯელა მათს შესახებ და სასტიკი საყვედური გამოუცხადა ორივე მოჭადრაკეს. მსაჯთა კოლეგიამ დაადგინა აგრეთვე, რომ 40 სვლაზე ადრე ყაიმზე შეთანხმება მსაჯის ნებართვის გარეშე არ შეიძლება. როგორც ჩანს, ახალგაზრდა მოჭადრაკეებმა ყუ[...]რად იღეს სამართლიანი შ[...] მეორე ტურში კიკიანმა [...]რად ჩაატარა პარტია გამრე[...] და გაიმარჯვა, ხოლო მაჭავ[...] მწვავე ბრძოლაში ყაიმით [...]ლა შეხვედრა არნშტეინთან.

გ. ბაჩეჩი[...]
შეჯიბრების მთავარი [...]

რედაქტორი ი. უგულ[...]

გაზეთი გამოდის სამშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12. დეპეშებისათვის, თბილისი, „ლელ[...]
ტელეფონები რედაქტორის—3-89-62, პასუხისმგებელი მდივნისა და განყოფილებების — 3-90-34. გამომშვების — 3-01-06.

1 2 3 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი". ლენინის ქ. № 14. უე 08[...]